მოსაზრებები ნეოლიბერალიზმისა და ფემინიზმის საკამათო ურთიერთმიმართებაზე

ავტორები: *ანიკო გრეგორი, ვერონიკა გრჟებალსკა*

მთარგმნელი: *თეკლა ზუხბა*

ნეოლიბერალიზმი: სავარაუდო დეფინიციები და რელევანტურობა ფემინიზმისთვის.

როგორც სილვია უოლბი ამტკიცებს, "[ნ]ეოლიბერალიზმი თავდაპირველად წარმოადგენდა პროექტს, რომელიც ჯერ სამთავრობო პროგრამად, შემდეგ კი ინსტიტუციონალიზებულ საზოგადოებრივ ფორმაციად გარდაიქმნა"(2011:21). ამ დაკვირვების მსგავსად, ნეოლიბერალიზმის ისტორიისა და გენეალოგიის შესახებ ნაშრომში ტორსენი გვთავაზობს თეზისს, რომლის მიხედვითაც, ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ რწმენათა წყებას, სახელმწიფოს როლის შესახებ (როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეებზე) თავისუფალი ბაზრის (დე)რეგულაციის საკითხთან მიმართებით. ის ხაზს უსვამს თავისუფალი ბაზრებისა და თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობას; დაბოლოს, ნეოლიბერალიზმი გულისხმობს მორალურ პერსპექტივას, რომელიც გამოიყენება ინდივიდთა შეფასების პროცესში (2009:15-16). მაგალითისთვის, - და ამას აჩვენებს ისტორიული შედარებითი პერსპექტივა პოლონეთსა და უნგრეთში სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ენის ცვლილებაზე - ნეოლიბერალური შემობრუნება ტრანზიციის წლებში არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ლინგვისტურიც იყო, რამაც მნიშვნელოვანწილად გააძლიერა სოციალური პოლიტიკის, როგორც ნეგატიური და საზოგადოებრივად დამაზიანებელი ფენომენის აღქმა (Aczél, Szelewa & Szikra 2015).

ჩვენი აზრით, ამ პერსპექტივებზე დაყრდნობით, ნეოლიბერალიზმის სამგვარად გაანალიზებაა შესაძლებელი. პირველი, ნეოლიბერალიზმი გლობალური *ეკონომიკური* სისტემაა, რომელიც ხასიათდება ბაზრის დერეგულაციით, მძლავრი პრივატიზაციით, გადასახადების შემცირებით, მწვავე ქამრების შემოჭერის პოლიტიკებით პერმანენტული ეკონომიკური კრიზისების ფონზე და სახელმწიფოს ინტერვენციული ფუნქციის ნიველირებით ეკონომიკური დაღმასვლის ნეგატიურ ეფექტთა დაბალანსების მცდელობებში. მეორე, *პოლიტიკურ-იდეოლოგიური* მნიშვნელობით, ის აგრეთვე განასახიერებს ერთგვარ

მმართველობას, რეჟიმს, პოლიტიკურ პრინციპთა და წესთა წყებას, რომელთა მიზანი არსებული არათანაბარი პოლიტიკური და სოციალური ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებების, გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტების მმართველობის და იმ ტექნიკების კვლავწარმოებაა, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესებში დემოკრატიულ პრაქტიკებსა და სამოქალაქო თანამონაწილეობას უშლიან ხელს. დაბოლოს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გარდა გავლენისა ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, ნეოლიბერალიზმი *სოციალური ღირებულებებისა და კულტურის* ჩამოყალიბებაშიც მონაწილებს. ზემოხსენებული ეკონომიკური და პოლიტიკური პრაქტიკების შემოტანითა და მხარდაჭერით იგი გვევლინება ყოველდღიული ცხოვრების თანმდევი ღირებულებების, პირადი ინტერაქციების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და მათი ქცევის შესახებ წარმოქმნილი იდეების აღმნიშვნელად. ძლიერი ინდივიდუალიზმის მხარდაჭერით იგი აზვიადებს ინდივიდის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის როლს არსებულ უთანასწორო სოციალურ სტრუქტურაში ისე, რომ კითხვებს არ უსვამს თავად სისტემის შიგნით არსებულ სტრუქტურულ ჩაგვრას.

მაგრამ, როგორ შემოდის ამ სურათში ფემინიზმის საკითხი? როგორც უოლბი ამტკიცებს (2011:11), ნეოლიბერალიზმის ინტენსიფიკაცია ფემინიზმს ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს, იმდენად, რამდენადაც მისი ეფექტები (მზარდი სოციალური უთანასწორობა, დემოკრატიული მმართველობის შესუსტება) წინააღმდეგობაშია ფემინიზმის ზოგად მიზნებთან. ქამრების შემოჭერის პოლიტიკათა გენდერიზებული ეფექტების თანმდევი პრობლემები, სიღარიბის ფემინიზაცია, დაბალი შემოსავალი, შეუსაბამო ექსპლუატაციური და მყიფე სამუშაო გარემო, ქალთა შრომის გაორმაგებული ტვირთი, შინამეურნეობების პრობლემები, რომელთაც მარტოხელა ქალები აწყდებიან, ნეოლიბერალიზმის გენდერიზებული ფორმებისა და მათი შესაძლო შედეგების შესახებ გვაფრთხილებენ (Smith 2008: 131-132). მაგრამ, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ნეოლიბერალიზმის იმ პრაქტიკებზე, რომლებიც განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე ქალებზე განსხვავებულად ზემოქმედებენ: დაბალშემოსავლიანი და მუშათა კლასის წარმომადეგნელი ქალები, მსგავსად სხვა მარგინალიზებული სოციალური ჯგუფებისა, ამ დაბრკოლებებს მეტი სიმძაფრით ეჩეხებიან და, ამავდროულად, იზრდება და მძაფრდება თავად ქალთა შორის უთანასწორობა. როგორც ფოდორმა და ნაგიმ (2014) აჩვენეს, 2008 წლის გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ამ

კრიზისის საპასუხოდ ეროვნულ მთავრობათა მიერ შემუშავებულმა ქამრების შემოჭერის პოლიტიკებმა, აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებ ქალებზე უფრო მწვავე გავლენა იქონია და ამგვარად, კიდევ უფრო გააღრმავა სოციალური უთანასწორობა ევროპის რეგიონში მცხოვრებ ჯგუფებს შორის. მაგრამ, ჰომოგენური არც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებია: ფოდორი და ჰორნი (2015) უჩვენებდნენ, რომ გენდერიზებული უთანასწორობა კიდევ უფრო მეტი სიმწვავით გვევლინება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური ზრდა უცხოური კაპიტალის კარნახით მიმდინარეობს და სადაც სოციალურ კეთილდღეობაზე სახელმწიფო მიზერულ თანხებს ხარჯავს. ნეოლიბერალიზმი საერთაშორისო მოვლენაა და შესაბამისად, მისი ეფექტებიც საერთაშორისოა. მაშასადამე, მასზე ფემინისტური რეაქციაც საერთაშორისო უნდა იყოს, მაგრამ, ამავდროულად, არ უნდა ივიწყებდეს ლოკალურ თავისებურებებს, განსაკუთრებულ მიმართებას ცენტრსა და (ნახევარ-) პერიფერიას შორის და ა.შ. (Wallerstein 2004). მაგალითისთვის, ანალიზში, საკუთრივ ჩვენი ლინგვისტური წარმომავლობის ენებზე შექმნილი ლიტერატურის ინტეგრირებით, მიმოხილვის მასშტაბის განვრცობით ისე, რომ არ მოიცავდეს მხოლოდ ყველაზე უფრო ციტირებადი და ძირითადად ანგლოსაქსურ აკადემიურ ლიტერატურას, შევძლებთ არა მხოლოდ დამკვიდრებული ტერმინების მოდიფიცირებას და მათთვის ახალი მნიშვნელობებისა და ამხსნელი ძალის მინიჭებას, არამედ აკადემიური თვითკოლონიზაციის ხაფანგებისგან თავის დაღწევას.

ნეოლიბერალიზმი და ფენიმიზმ(ებ)ი ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში

იმისათვის, რომ ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში ნეოლიბერალიზმისა და ფემინიზმის ურთიერთმიმართების ნიუანსები გამოვარკვიოთ, საჭიროა წარსულს მივუბრუნდეთ და 1989 წლის შემდგომი გარდამავალი წლების ორი “პირველქმნილი ცოდვა” გავიხსენოთ. პირველი მათგანი გულისხმობდა ადამიანის უფლებების პარადიგმისა და ეკონომიკაზე ნეოლიბერალური წარმოდგენის შესისხლხორცებას პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ტრანსფორმაციასთან. არ ვამტკიცებთ, რომ ადამიანის უფლებები და ნეოლიბერალური რეფორმები ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივ კავშირს ქმნიან - სხვა სიტყვებით, არ ვამტკიცებთ, რომ რომელიმე მათგანს, სჭირდებოდა მეორე, რათა აღზევებულიყო. ნაცვლად ამისა, ვაჩვენებთ, რომ პირველი (ადამიანის უფლებები) საბაზრო

ფუნდამენტალიზმის (Moyn 2014) "უსუსურ კომპანიონად" მოგვევლინა: ორივე პარადიგმის იმპლემენტაცია თანადროულად და ხშირად ერთი და იმავე აქტორების კარნახით ხორციელდებოდა და ადამიანის უფლებების შესახებ დომინანტურმა წარმოდგენამ (რომელიც ნაცვლად ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური უფლებებისა, ინდივიდის პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებებზე იყო ორიენტირებული) თავად პარადიგმა არაეფექტურად აქცია ნეოლიბერალური რეფორმების პირობებში დამკვირდებული სტრუქტურული უთანაბრობების ოპონირების პროცესში (Einhorn 2005: 1030). ამას გარდა, ეკონომიკურ ტრანზიციასთან დაკავშირებული კლასობრივი კონფლიქტის მინელებამ ხელ-ფეხი გაუხსნა პოპულისტურ მემარჯვენე ფრთას, რომელმაც ხელახალი ფორმულირება შემოგვთავაზა მათი ბრაზის და ფრუსტრაციის, ვინც იდენტობებს შორის კონფლიტის კონტექსტში, საბაზისო სოციალური და ეკონომიკური უფლებების ეროზიის პროცესში დაზარალდა, როდესაც ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ტრადიციული ღირებულებების მქონე "პატრიოტები", ხოლო მეორე მხარეს უცხოური დღის წესრიგის (ანუ ადამიანის უფლებების) მხარდამჭერი "მოღალატეები" (იხ. Ost 2007). ეს დაყოფა, კვლავინდებურად განაგრძობს პოლიტიკური სცენის სტრუქტურირებას ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც პოლიტიკური პარტიები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ადამიანის უფლებათა დისკურსზე აპელირებენ (თუნდაც შერჩევითობის პრინციპით) ამავდროულად, ნეოლიბერალური რეფორმების მხარდამჭერებად გვევლინებიან (მაგ: *Nowoczesna* პოლონეთში, *Smer* სლოვაკეთში ან *MSZP* უნგრეთში), ისინი კი ვინც ფემინიზმსა და ლგბტ+ უფლებებს ებრძვიან (მაგ: *PiS, SNS* ან *Fidesz*) სოციალურ სამართლიანობაზე, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ხმაწართმეულთა მოსმენაზე აპელირებენ.

რაც შეეხება მეორე "პირველქმნილ ცოდვას", 1989 წლიდან მოყოლებული ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპაში ფემინისტური მოძრაობები, ძირითადად, უწინდელი სოციო-ეკონომიკური სისტემის უარყოფას ეფუძნებოდნენ და სახელმწიფო სოციალიზმის პერიოდს აბერაციად მიიჩნევდნენ. აკადემიურ სფეროში ზოგიერთი მკვლევარისთვის დამახასიათებელი ტენდენცია კომუნიზმის პორტრეტი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ ფერებში წარმოედგინათ ქალთა ემანსიპაციისა და აგენტობის საკითხთან მიმართებით, ნანეტ ფუნკისა (2014,2015) და "რევიზიონისტების" (Ghodsee 2015) დებატებში განიხილებოდა. მართალია, ერთი მხრივ, კომუნიზმისაგან დისტანცირება ფემინისტებს ლიბერალური ელიტების პირობებში ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით თვითლეგიტიმაციაში

დაეხმარათ, მეორე მხრივ, ამან ისინი ნეოლიბერალური რეფორმების თანამზრახველებად აქცია და ნაცვლად ძალაუფლებისა და გაძლიერების მოდელების თავიანთ ისტორიაში ძიებისა, უფრო მეტად დაუახლოვა დასავლურ თეორიებსა და ხედვებს (მაგ: ინდივიდუალიზმის, თავისუფალი არჩევანისა და მოქნილობის კონცეფციებს). როგორც გოდსეე (2004) განმარტავს, ე.წ კულტურული ფემინიზმი პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ტრანზიციის პერიოდის საწყის წლებშივე იქნა იმპორტირებული დასავლეთიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი დონორების მხარდაჭერით. გენდერული უთანასწორობის ამ თეორიამ, ამტკიცებდა რა, რომ გენდერული განსხვავება ყველა სხვა სტრუქტურულ იერარქიაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ხოლო პატრიარქატი ლამის ექსკლუზიურად პასუხისმგებელი ქალთა უთანასწორო სასტარტო პირობებში ჩაყენებაზე, რეგიონის ფემინისტებს მეტწილად თვალი აუხვია ნეოლიბერალიზმის როლთან დაკავშირებით ქალთა (და კაცთა) შორის კლასობრივი უთანასწორობების წარმოქმნის საკითხზე. შედეგად, ფემინიზმის დომინანტური განშტოება ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში მეტწილად კულტურული საკითხებით (მაგ: სტერეოტიპებითა და მედიაში გაშუქებით) იყო დაინტერესებული, ნაცვლად ეკონომიკურ სამართლიანობასა და ჩაგვრის წინააღმდეგ ინტერსექსიური სტრატეგიის განვითარებისა (Erbel 2008). მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მოძრაობამ მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მეინსტრუმული ფემინიზმი, მაგალითისთვის პოლონეთის ქალთა კონგრესი, მეტწილად, მაინც, ტრანზიციის გამარჯვებულთა ხმად რჩება.

ფემინიზმის სხვადასხვა განშტოება ნეოლიბერალიზმის გამოწვევების წინაშე

ფემინიზმის თანამედროვე განშტოებებს ერთმანეთისგან ნეოლიბერალიზმის სხვადასხვა ასპექტთა კრიტიკის სიმწვავის დონე განასხვავებთ. ლიბერალური ფემინიზმის ერთი ნაწილი, როგორც წესი, არსებულ გენდერულ უთანასწორობას, განსაკუთრებით შრომის ბაზარს აკრიტიკებს და აღიარებს ცვლილებისთვის სახელმწიფოს ძალის შესაძლო მნიშვნელობას, მაგალითისთვის საკანონმდებლო ჩარევის ფორმით ლიმიტირებულ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერვენციას უჭერს მხარს. სოციალისტი ფემინისტები კიდევ უფრო შორს მიდიან, როცა სააშკარაოზე გამოაქვთ სახელმწიფოს როლის მნიშვნელობა პატრიარქალურ კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკასა და გენდერიზებული

ძალაუფლებრივი ურთიერთობების შენარჩუნებაში ქალთა რეპროდუქციულ როლებზე დაყვანით, როგორც ოჯახის შიგნით, ისე მის გარეთ კეთილდღეობის ინსტიტუტების გავლით (Waylen 1998: 5). სახელმწიფოსა და კაპიტალიზმის ეს გაერთიანებული კრიტიკა სოციალისტური ფემინიზმის პერსპექტივიდან ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ გენდერული ურთიერთობების ფორმირებაში სახემწიფოს როლის ანალიზისას, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებასა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ასპექტებს.

ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ თვალს ვადევნებთ ახალი ფენომენის - "ნეოლიბერალური ფემინიზმის" აღზევებას, რომელსაც კორპორატიული სფეროს თვალსაჩინო ქალი ლიდერები განასახიერებენ. ისინი ცდილობენ ჩააჩოჩონ და გააჩუმონ შედარებით კრიტიკული ლიბერალურ-ფემინისტური ხმები და მხარი ნეოლიბერალურ მმართველობას დაუჭირონ (Rottenberg 2013). ნეოლიბერალურ და ლიბერალურ ფემინიზმებს შორის ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება ის გახლავთ, რომ პირველი სულაც არ აკრიტიკებს ნეოლიბერალიზმსა და ამ უკანასკნელის როლს გენდერული (და სხვა ტიპის) უთანასწორობების წარმოქმნაში (Rottenberg 2013: 2) ხოლო მეორე, აღიარებს გენდერული უთანასწორობის გამომწვევ სისტემურ მიზეზებს და ემხრობა სახელმწიფო ან სხვა ტიპის ინტერვენციებს. როტენბერგის მიხედვით, ნეოლიბერალი ფემინისტები სრულად აცნობიერებენ ქალთა და კაცთა შორის არსებულ სოციალურ უთანასწორობებს, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ამ უთანასწორობათა აღმოფხვრა ინდივიდუალური ძალისხმევის მეშვეობით უნდა ხდებოდეს (2013: 2-3). მაგალითად, ისინი სამუშაო ადგილზე წარმოქმნილი დაბრკოლებების ვერ დაძლევას, სტრუქტურული წინაღობების ნაცვლად არაეფექტურ ტექნიკებს უკავშირებენ. ამ უკიდურესი ინდივიდუალიზების ტენდენციას აკრიტიკებს შელი ბადჯენი (2015), რომელიც ე.წ "თავისუფალი არჩევანის ფემინიზმსა" და თავად "არჩევანის" იდეალიზებულ ცნებას ეჭვქვეშ აყენებს. ბანჯენის მიხედვით ისეთი ცნებები, როგორებიც "ავტონომია" და "თავისუფლებაა", ცნებები, რომლებმაც მეორე ტალღის ფემინიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, ნეოლიბერალურ კონტექსტში ტრანსფორმირდნენ და შინაარსისგან დაცარიელდნენ. მიუხედავად იმისა, რომ "არჩევანის" ცნებამ აქტივისტებს საშუალება მისცა აგენტობის შესახებ "მსხვერპლის პარადიგმის" მიღმა ალაპარაკებულიყვნენ, ფემინისტებმა დაივიწყეს, რომ ეს კონცეპტი რელატიური და კონტექსტუალურია და თანასწორობასთან არავითარი აუცილებელი მიმართება არ გააჩნია

(Budgeon 2015: 3-6). მჩაგვრელ და ექსპლუატაციურ სოციალურ გარემოში, სულ ცოტა საეჭვო მაინცაა თუ როგორ არის შესაძლებელი ინდივიდს ხელი არჩევანის უსასრულო სპექტრზე მიუწვდებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ნაწილმა შეიძლება არჩევანი სახლში დარჩენაზე შეაჩეროს, პრობლემატური იქნებოდა მათი ეს გადაწყვეტილება ემანსიპაციად დაგვესახა საზოგადოებაში, სადაც მხარს უჭერენენ ტრადიციული ოჯახის მოდელს, რომელშიც ქალი არაანაზღაურებადი ზრუნვითაა დაკავებული, ხოლო ალტერნატივებს, მაგალითად ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუციონალიზებას და ამ პროცესში კაცების ჩართულობას, სტრუქტურული წინაღობებით პრობლემებს უქმნიან.

ნეოლიბერალური ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც როტენბერგს მოჰყავს მაგალითად, ფეისბუქის აღმასრულებელი დირექტორი შერილ სენდბერგია, ავტორი წიგნისა “Lean In”. 2013 წელს გამოქვეყნებულმა და მრავალ ენაზე თარგმნილმა ამ წიგნმა, დიდი ყურადღება მიიპყრო. ავტორი მიზნად ისახავდა უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ წიგნის დაწერა და სამუშაო ადგილზე ქალთა წარმატების ტექნიკების პოპულარიზება იყო. გამოქვეყნებიდან მალევე შეიქმნა ე.წ “Lean In” წრეები, ამ ონლაინ და ოფნაილ წრეების მიზანი (გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით) პროფესიული კონსულტირებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფაა მათთვის, ვისაც სურს თეორია პრაქტიკად აქციოს. ერთი მხრივ, ეს წრეები აკავშირებენ ქალებს, რომლებიც ერთმანეთს პრობლემებს უზიარებენ, ამხნევებენ მათ ისაუბრონ ნეგატიურ გამოცდილებებზე და ამ ფორმით ახალი თემი ჩამოაყალიბონ, მეორე მხრივ, ამ წრეებში წარმოდგენილი ქალები, რამდენადმე ჰომოგენურ სოციალურ ფონს იზიარებენ და მათი “Lean In” პროექტები ინდივიდუალურ ძალისხმევებად გვევლინებიან სტრუქტურული ცვლილებების შემოტანის ყოველგვარი განზრახვის გარეშე, მაშინაც კი, თუ კი მათ ამ ცვლილებათა განხორციელების რესურსი აქვთ. არ არსებობს არავითარი საერთო მიზანი, საერთო ინტერესი, სოლიდარობა ან არსებული სოციო-ეკონომიკური სისტემის კრიტიკა. მიუხედავად ეჭვებისა, ჩვენ მაინც მივიჩნევთ, რომ თემის მშენებლობის ზოგადი იდეა ნაყოფიერია და მას ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ შესაძლო გზად ვთვლით. როგორც კანტოლა და სქუაიერსი (2012) ამტკიცებენ, მიუხედავად იმისა, რომ “ნეოლიბერალური ფემინიზმი” სოციალურ ღირებულებებსა და ნორმებს აყალიბებს, ე.წ “თავისუფალი ბაზრის ფემინიზმი” გულისხმობს მეთოდს, რომლის მიხედვითაც, გენდერული თანასწორობა კონცეპტუალიზებულია ბაზარზე ორიენტირებული ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე ეფექტურობის,

პროდუქტიულობისა და განვითარების უზრუნველყოფაში, რაც ასე მნიშვნელოვანია ნეოლიბერალური ბაზრებისთვის. ნეოლიბერალურმა გავერნმენტალობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შემცირებამ მნიშვნელოვნად შეცვალა კონტექსტი სახელმწიფო ფემინიზმის პოლიტიკისათვის, რამაც ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები აიძულა დაფინანსებითვის კერძო ფონდებისთვის კომპანიებისთვის მიემართათ და ეს ორგანიზაციები საბაზრო მოთხოვნებს (ეფექტურობას, პროდუქტიულობას) დაუქვემდებარა, მათი გავლენის შესაფასებლად კი რაოდენობრივი ინდიკატორები დაამკვიდრა (Kantola & Squires 2012: 382-383).

როგორ შეგვიძლია შევცვალოთ ეს ნეოლიბერალური ენა თუ ის სრულად დომინირებს ველზე, სადაც ხსენებულ ორგანიზაციებს პოზიტიური ცვლილებების მიღწევა სურთ? ნეოლიბერალური და საბაზრო ფემინიზმის ამ აღწერაზე დაყრდნობით შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ მეორე ტალღის ფემინიზმის სლოგანთა მითვისებაში ნეოლიბერალიზმია დამნაშავე, მაგრამ ნენსი ფრეიზერის (2013) მტკიცებით, თავად ფემინიზმიც უჭერდა მხარს ნეოლიბერალიზმს სამი კონკრეტული და მნიშვნელოვანი იდეით. პირველი, საშინაო შრომის ანაზრაურებასთან დაკავშირებული პრობლემების კრიტიკისას ფემინისტებს გამორჩათ ის რთული პირობები, რომელსაც ქალები უშუალოდ შრომის ბაზარზე აწყდებიან; მეორე, კეთილდღეობის სახელმწიფოს პატერნალისტური განზომილებების კრიტიკისას მათ "ნაბან წყალს ბავშვი გადააყოლეს" და ამით გააძლიერეს არგუმენტები, რომლებითაც სახელმწიფო რეგულაციის შესუსტებას ემხრობოდნენ; და მესამე, იდენტობის პოლიტიკაზე აქცენტირებისას მათ მხედველობიდან გამორჩათ სოციალური და კლასობრივი უთანასწორობა (ფემინიზმის იდენტობის პოლიტიკაზე ორიენტირების კრიტიკისთვის ი.ხ Fraser 1995, Mohanty 2013). ამგვარად, ვამტკიცებთ, რომ ფემინიზმი ნეოლიბერალიზმს არ უნდა დანებდეს იმიტომ, რომ ამის შედეგად იგი რევოლუციურ და კრიტიკულ პერსპექტივას დაკარგავს. ან - კიდევ უფრო უარესი - არსებულ სოციალურ უთანასწორობებს ლეგიტიმაციას მიანიჭებს.

შრომის ცნება ნეოლიბერალიზმის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ფემინიზმისთვის

ტრადიციულად ეკონომისტები შრომაში მოიაზრებდნენ ანაზღაურებად შრომას ოჯახის გარეთ - კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია გაეროს დეფინიცია მოვიხმოთ, რომელიც შრომას

“მოგების ან ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებად” აღწერს. 1993 წელს ეს დეფინიცია კიდევ უფრო გაფართოვდა და ოჯახის საბაზისო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროდუქტებისა და სერვისების წარმოებაც მოიცვა, რაც მონეტიზებულ ეკონომიკაში მონაწილეობს, თუმცა, არაანაღრაურებადი მზრუნველობითი შრომა ეკონომიკაზე ლიმიტირებული გავლენის გამო კვლავაც დეფინიციის მიღმა აღმოჩნდა (Kabeer 2012). ამ თვალსაზრისთა საწინააღმდეგოდ მარქსისტი ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ “ანაზღაურებად შრომასა” და “შინშრომას” შორის წყალგამყოფის გავლება იდეოლოგიური კონსტრუქციაა, რომლის ერთადერთი მიზანი ქალთა შრომის ექსპლუატაცია და ძალაუფლების გენდერიზებულ მიმართებათა კვლავწარმოებაა. როგორც ფემინისტმა ეკონომისტებმა აჩვენეს, ისეთი აქტივობები, როგორიცაა გამრავლება, ბავშვის აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, მთლიან შიდა პროდუქტში ასახული უნდა იყოს, როგორც სამუშაო ძალის კვლავწარმოების განუყოფელი ელემენტი. ახლახან მომხდარმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ქალთა ზრუნვის შრომის მნიშვნელობა ეკონომიკისთვის. ქვეყნებში, სადაც ნეოლიბერალური ქამრების შემოჭერის რეფორმები გაატარეს და სახელმწიფო სერვისები შეამცირეს, შექმნილი დეფიციტის აღმოფხვრა ქალთა აუნაზღაურებელმა შრომამ მოახერხა (იხ. Finnegan et al. 2016). მაგალითისთვის, უნგრეთში, როგორც ჟირკა ამტკიცებს, შეგვიძლია დავაკვირდეთ უწყვეტობის ტენდენციას სოციალისტ-ლიბერალურ მთავრობასა (2006-2010) და მომდევნო კონსერვატიულ მთავრობას (2010-) შორის. ეს უწყვეტობა კრიზისის ეფექტთა გამკლავების მიზნით ნეოლიბერალური ქამრების შემოჭერის პოლიტიკების გატარებას გულისხმობს, რამაც უკვე არსებული გენდერული უთანასწორობები კიდევ უფრო გააღრმავა (Szikra 2013). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტები, ზოგადად, თანხმდებიან შრომის გენდერული დანაწილების საკითხსა და ზრუნვის შრომისთვის შრომის სტატუსის მინიჭებაზე, დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებზე მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ნაწილი ამტკიცებს, რომ პასუხი ქალთა შრომის ანაზღაურებაა, სხვები კი ამბობენ, რომ ზრუნვისა და ემოციების მონეტიზაცია საჭირო არ არის და მისი შრომაზე რედუცირება არასამართლიანია (Finch and Groves 1983). ამას გარდა, ფემინისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა თავად ანაზღაურებადი შრომის გარშემო. ერთნი მიიჩნევენ, რომ შრომა ქალთა გაძლიერების სფეროა, რომელიც საკვანძო ფუნქციას არულებს თანასწორობისთვის ბრძოლაში, მეორენი კი ხაზს უსვამენ კლასობრივი განსხვავების როლს ქალთა შრომითი გამოცდილების ჩამოყალიბებაში.

შესაძლოა შრომამ მართლაც იქონიოს გამაძლიერებელი ეფექტი პრივილეგირებულთათვის, მაგრამ ქალთა უმეტესობა დაბალანაზრაურებად და არასაკმარისად უსაფრთხო ინდუსტრიებშია დასაქმებული, რის გამოც ანაზღაურებადი სამუშაოსა და ზრუნვის შრომის ერთმანეთთან შეთანხმება უწევს. აქედან გამომდინარე, ავტორთა ნაწილი (Elgarte 2008; Artner 2014: 113) მხარს უჭერს ისეთ მექანიზმთა ამუშავებას, როგორიც, მაგალითად, საბაზისო შემოსავალია, მიიჩნევს რა, რომ იგი გარკვეული ანაზღაურებადი შრომისგან ქალთა და კაცთა გათავისუფლების, არაანაზღაურებადი შრომის გენდერიზებული დაყოფის გაუქმებისა და ქალთა ფინანსური დამოუკიდებლობის, მაშასადამე, გენდერულად უფრო სამართლიანი საზოგადოების მისაღწევად ერთ-ერთი შესაძლო გზაა.

ნეოლიბერალიზმის, პოპულიზმისა და არალიბერალური სახელმწიფოს კრიტიკა

შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ვაშინგტონის კონსენსუსის შემდგომი ნეოლიბერალური შემობრუნება სახელმწიფოს შესუსტებით ხასიათდებოდა ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ისეთ საკვანძო მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტებთან მიმართებით, როგორიცაა - ჯანდაცვა, საპენციო სისტემები და განათლება, მაგრამ, ამავდროულად, იგი იმ სფეროებს აძლიერებდა, რომლებიც გლობალური ბაზრის ფუნქციონირებისთვის იყვნენ აუცილებელი - მაგალითად პოლიციურ წესრიგში, ადმინისტრაციული და პროცედურული წესრიგის გარანტირებასა და ბიუჯეტის დეფიციტის სტაბილიზაციაში. შედეგად მივიღეთ სახელმწიფო, რომელიც სუსტია ძლიერთათვის და ძლიერი სუსტთათვის - შემწყნარებელი დიდი ბიზნესისა და საერთაშორისო კორპორაციების მიმართ და, ამავდროულად, მზარდად უუნარო, როცა საქმე მოქალაქეთა საბაზისო ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს ეხება; შედეგად კი მზარდ სოციალურ მოწყვლადობას და პოლიტიკაში მოქალაქეობრივი ჩართულობის შემცირებას ვიღებთ. ევროპის მასშტაბით სწორედ ამ ფონზე აღმოცენდა მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობა, როგორც ერი-სახელმწიფოს გაძლიერების, მოქალაქეთა ეკონომიკური უსაფრთხოების გამყარების ძლიერი ხმა, რომელიც მხარს უჭერს მშრომელებსა და პროფკავშირებს, ოჯახთა ეკონომიკურ მხარდაჭერას, უცხოური კაპიტალის მიერ მართული სექტორების დაბეგვრას, ან სულაც ეკონომიკის საკვანძო სეგმენტების ნაციონალიზაციას. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ: რუსეთში, თურქეთში, უნგრეთსა და პოლონეთში) თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახალი ფორმის სახელმწიფოს აღზევება გამოიწვია,

რომელიც განხვავებული დოზებით ერთმანეთს უთავსებს ერთი მხრივ თავისუფალ ბაზარს და ინდივიდის თავისუფლებებს, მეორე მხრივ კი, საჯარო უფლებების შესუსტებასა და ძლიერ ნაციონალიზმს (Ignatieff 2015). თუმცა, იმის მიუხედავად, რომ პოპულისტურმა მემარჯვენეობამ წარმატებით მოახერხა ხსენებულ ქვეყნებში არსებული საკვანძო სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და ამ საკითხების გარშემო ელექტორატის მობილიზება, პრობლემების აღმოფხვრის მის მიერ შემოთავაზებული გზები, ხშირად არაადეკვატურია და საზოგადოების ჩაკეტვით სრულდება. მაგალითად, უნგრეთში უთანასწორობა კვლავაც იზრდება მიუხედავად სახელმწიფოს გასაძლიერებლად გატარებული სხვადასხვა სამართლებრივი და ფისკალური რეფორმებისა, რომლის დროსაც საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები კიდევ უფრო მეტად იჩაგრებიან (Krémer 2014). მაშასადამე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნეოლიბერალური კაპიტალიზმი წარმატებით შეიძლება განხორციელდეს ლიბერალური, დემოკრატიული სტანდარტებისა თუ სოციალური სამართლიანობის იდეალის გარეშეც. შორს რომ არ წავიდეთ, ზიგმუნტ ბაუმანმა (2010) თავის დროზე შეგვახსენა, რომ სახელმწიფოს რეალური ხარისხი მისი ყველაზე უფრო სუსტი წარმომადგენლების სტატუსით უნდა შეფასდეს.

იმისათვის, რომ მემარჯვენე პოპულიზმსა და ნეოლიბერალიზმს დაუპირისპირდნენ, პროგრესულ ძალებს მოეთხოვებათ სწორედ იმ შიშებსა და შფოთვებზე რეაგირება, რომელთაც მემარჯვენეობა უწევს ექსპლუატაციას, მაგრამ, ამავდროულად, მათ უნდა შეძლონ კულტურული ომებისა და პოპულისტური პანაცეების სანაცვლოდ ფართომასშტაბიან რეფორმათა წყების გატარებაც. პირველ რიგში, მათ უნდა უპასუხონ საჭიროებას რედისტრიბუციული პოლიტიკების იმპლემენტირებისა, რაც ქამრების შემოჭერის პოლიტიკისა და სხვა ნეოლიბერალური რეფორმების წინააღმდეგაა მიმართული. გარდა ამისა, სახელმწიფომ ინვესტიციები უნდა განახორციელოს მაღალი ხარისხის საჯარო სერვისებში, რამაც გარანტიები უნდა შეუქმნას საზოგადოების ყველაზე უფრო მოწყვლადი წევრების კეთილდღეობას. დაბოლოს, სახელმწიფომ თანაბარი ყურადღება უნდა დაუთმოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას, ისევე, როგორც შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური უფლებების გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურ დონეზე ნეოლიბერალიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ თანამედროვე ეპოქაში ცალკე აღებულ ერებს შეზღუდული რესურსები გააჩნიათ

გლობალიზებულ ეკონომიკურ სისტემასთან დასაპირისპირებლად. მაშასადამე, ადგილობრივი ბაზრებისა და რესურსების კორპორატიული ექსპლუატაციის, ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციების ან ბიზნესების მხრიდან გადასახადებისათვის თავის არიდების ფენომენთა შესაზღუდად ერ-სახემწიფოებს გაერთიანება და გლობალური (ან, მინიმუმ, ევროკავშირის მასშტაბზე მაინც) რეფორმების გატარება ესაჭიროებათ, რეფორმებისა, როგორებიცაა საერთო ფისკალური პოლიტიკის შემუშავება ან რეგულაციების დაწესება ფინანსური ბაზრებისთვის. ამგვარად, პასუხი ნეოლიბერალიზმზე ევროკავშირის მასშტაბით გასატარებელ რეფორმებსა და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაძლიერებაა, ნაცვლად ევროსკეპტიციზმისა, რასაც მემარჯვენეობა გვთავაზობს.

პროგრესული პოლიტიკის პერსპექტივები

ნაცვლად მხოლოდ კლასობრივ უთანასწორობებზე ორიენტირებისა, პროგრესულმა პოლიტიკამ უნდა გააცნობიეროს ისიც, თუ როგორ კვეთენ ერთმანეთს სოციალური იერარქიები და როგორ წარმოშობენ უთანასწორობის ახალ ფორმებს. რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესული პარტიები, მართალია სხვადასხვა დოზით, მაგრამ მეტწილად მაინც გენდერის საკითხის მიმართ სიბრმავეს ავლენენ. სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიები ყურადღებასაც კი არ აქცევენ გენდერულ უთანასწრობებს თავიანთ შიდა სტრუქტურებში (მაგალითად შეგვიძლია ეფექტური გენდერული კვოტების არარსებობა და პარტიულ სტრუქტურებში ქალთა ფორმალური პოლიტიკური წარმომადგენლობის რიცხობრივი სიმცირე მოვიხმოთ), რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა გენდერიზებული გავლენა აქვს ნეოლიბერალიზმს უთანასწორობაზე. თვითკრიტიკა შესაძლოა კარგი პირველი ნაბიჯი იყოს ამ პარტიათა პოლიტიკური სანდოობის გასაზრდელად.

პროგრესულ პოლიტიკურ აქტორებს არა მხოლოდ თვითკრიტიკულობა მოეთხოვებათ გენდერის საკითხში, არამედ, კრიტიკული ხაზის გატარებაც პროგრესულ პოლიტიკაში საერთაშორისო მასშტაბზე. პირველ რიგში, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ევროკავშირი მეტწილად საერთაშორისო ეკონომიკურ მონეტარული ალიანსია და, როგორც ასეთი, იგი სოციალურ უთანასწორობებს კვლავაწარმოებს, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეებზე. ამავროულად, მას პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარ მოქალაქეებზე და მიზნად

უნდა ისახავდეს სოციალური უფლებების გავრცობასა და მხარდაჭერას. მაგალითისთვის ანა ელომიაკი (2015) ამტკიცებს, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტები აჩვენებენ, რომ გენდერული თანასწორობის მაკროეკონომიკური ბენეფიტები მზარდად დისკურსულ ფორმებს იღებდნენ და უკანასკნელ წლებში გენდერულ თანასწორობაზე ნეგატიური ეფექტის მქონე ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკების ლეგიტიმაციას ახდენდნენ. ბარბარა აინჰორნის მტკიცებით კი პოსტსოციალისტური სახელმწიფოების ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, ძირითადად, "ინტეგრაციისა და ეკონომიკური მიკედლების პროცესს წარმოადგენდა" (2005:1025), თავად პროცესზე კი, ნაცვლად სოციო-კულტურული საკითხებისა, ეკონომიკა დომინირებდა. იმ შემთხვევაში თუ პროგრესული ძალები ევროკავშირის ნეოლიბერალურ პოლიტიკებს კრიტიკულად არ მიუდგებიან, მაშინ ამას ევროსკეპტიკური ან სრულად ევროკავშირის იდეის წინააღმდეგ მომართული პოლიტიკური ძალები გააკეთებენ.

გარდა ამისა, პროგრესული პარტიები საზოგადოების ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულ ჯგუფთა პოლიტიკური მობილიზაციის სხვადასხვა ფორმებით უნდა დაკავდნენ. რეპოლიტიზაციის ეს როლი უმნიშვნელოვანესია ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ეს უკანასკნელი, წარმატებით ახდენს მოქალაქეთა დეპოლიტიზაციას და ახშობს მათ წინააღმდეგობას. იმ შემთხვევაში, თუ პროგრესული პოლიტიკური ჯგუფები "კერძო" სფეროში განდევნილ საკითხთა საჯარო არენაზე დაბრუნებას მოახერხებენ, ისინი აგრეთვე შეძლებენ ახალი თემების, ახალი პრობლემების, ახალი დისკურსების, ახალი სოლიდარობების და შესაძლოა, პრობლემების გადაჭრის ახალი გზების აღმოჩენას. ამ აზრით, ცენრტალურ-აღმოსავლეთ ევროპის პრორესულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ყურადღება უნდა დაუთმონ სამხრეთ-ევროპულ დემოკრატიულ ჯგუფებსაც, რომლებიც ახლახან ჩამოყალიბდნენ და დროის მცირე მონაკვეთში წარმატებით შეძლეს მოქალაქეთა მობილიზება ნეოლიბერალიზმის ნეგატიურ ეფექტთა პრობლემატიზების გზით.

ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული ინკლუზიური პოლიტიკისკენ?

თეორიულად, ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სოციალურ მოძრაობებს რეალური ინკლუზიურობის მისაღწევად ნაცვლად სოციალური სამართლიანობის რედუქციონისტული გაგებისა, ამ უკანასკნელის კომპლექსური გააზრება სჭირდებათ - ისეთი გააზრება, რომელიც

რედისტრიბუციის, აღიარებისა და პოლიტიკური რეპრეზენტაციის საკითხებს აერთიანებს (Fraser 2003). მაგალითისთვის, ე.წ მასშტაბური საკითხების პრივილეგირება - სახელდობრ კორპორატიული ძალაუფლებისა და კლასობრივი უთანასწორობების წინ წამოწევა გენდერული, რასობრივი, კლასობრივი და სექსუალური ჩაგვრის ნიველირების ხარჯზე - რაც მემარცხენე მოძრაობებში ჯერ კიდევ აქტუალურია, საუკეთესო შემთხვევაში, "პატრიარქალური კეთილდღეობის სახელმწიფოს" გაცოცხლებით შეიძლება დასრულდეს, სადაც მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა ქალთა ჩაგვრის განსხვავებულ ფორმებთან თანაარსებობს (Pateman 1988). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სოციალურ მოძრაობებს, რომლებსაც მოქალაქეთა ფართომასშტაბიანი მობილიზება დაუსახავთ მიზნად და არც პოტენციური მოკავშირეები აშინებთ, შესაძლოა, თავიანთი ენის შეცვლა და გენდერული თანასწორობის მონათესავე საკითხების კონცეპტუალიზების ახალი გზების გამონახვა დასჭირდეთ. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნებისთვის, სადაც, საზოგადოების დიდი ნაწილი ეკონომიკაზე "მემარცხენე" წარმოდგენებს - სხვა სიტყვებით, კეთილდღეობის სახელმწიფოსა და ეკონომიკური რედისტრიბუციის იდეებს - ღრმადკონსერვატორულ და ტრადიციონალისტურ ხედვებს უთავსებს ქალთა და უმცირესობათა უფლებზე (პოლონეთის მაგალითისთვის იხ. რეპორტი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა მოამზადა 39/2015).

სოციალურ მოძრაობათა ფუნქციონირების შედარებით პრაქტიკულ დონეზე საჭიროა მხარი დავუჭიროთ დემოკრატიულ პროცესებს თავად მოძრაობების შიგნით და დავამკვიდროთ "ინკლუზიურობის ნორმები", რამაც ხელი უნდა შეუწყოს აქტორებს შორის კონსენსუსის მიღწევას ჯგუფთა შორის განსხვავებების აღიარების ფონზე. როგორც უელდონი ამტკიცებს, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული გლობალური მოძრაობის ანალიზისას, ეს ნორმები შეიძლება მოიცავდეს "დესკრიფციულ რეპრეზენტაციას, დამოუკიდებელი ორგანიზაციის ფასილიტაციას ნაკლებად პრივილეგირებული სოციალური ჯგუფებისთვის და ინსტიტუციონალიზებული წინააღმდეგობის ფარგლებში კონსენსუსის მშენებლობის იდეის ერთგულებას" (Weldon 2006: 56). კიდევ ერთი რამ, რაც ფემინისტ აკადემიკოსებს, პოლიტიკის მესვეურებსა და ჟურნალისტებს შუძლიათ გააკეთონ, განსხვავებულ საკითხებთან ისეთი მიდგომის შემუშავებაა, რომლის ფარგლებშიც გენდერული განსხვავებები სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან განსხვავებებს არ ჩრდილავენ. მაგალითისთვის, ნაცვლად "საშუალოსტატისტიკურ ქალსა" და "საშუალოსტატისტიკურ კაცზე" საუბრისა,

როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი სტატისტიკაში, ჩვენ უნდა ვისაუბროთ ქალთა განსხვავებულ ჯგუფებზე და ამის შესაბამისად გავატაროთ მათზე მორგებული პოლიტიკები. დამატებით სხვა ინკლუზიური პრაქტიკები შესაძლოა მოიცავდნენ ალიანსების მშენებლობასა და დიალოგს სხვადასხვა იდეოლოგიური პოზიციების წარმომადგენელ აქტორებს შორის (იხ. Kováts 2015). ორივე მათგანი არსებითი მნიშვნელობისაა მემარჯვენე ძალების აღზევებისა და პოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში. მიუხედავად "ერთობის" "განსხვავებით" ჩანაცვლებისა, სოციალური მოძრაობების თეორიასა და პრაქტიკაში - რის გამოც გამუდმებით აკრიტიკებდნენ "ახალ მემარცხენეობას" სხვადასხვა ტიპის უთანასწორობების სოლიდარობის "ყალბ" საერთოობაზე დაყვანის გამო - ჩვენ მაინც გვწამს , რომ "სოლიდარობის" ცნება არ უნდა უგულვებელვყოთ - ნაცვლად ამისა, ის ხელახლა უნდა განვსაზღვროთ და მასში პოზიციონირების გაგება შევიტანოთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ "ნეოლიბერალური ნეოპატრიარქატის" წინაარმდეგ ფრაგმენტირებული ბრძოლა ეფექტური ვერ იქნება (Campbell 2015: 72), სოლიდარობის ცნება და პრაქტიკა კი ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

REFERENCES:

Aczél, Zsófia, Dorota Szelewa and Dorottya Szikra (2015) "The changing language of social policy in Hungary and Poland." In Béland, Daniel and Klaus Petersen (eds.) Analysing Social Policy Concepts and Language. Comparative and transnational perspectives. Bristol: Policy Press. 35-57.

Artner, Annamária (2014) "A feltétel nélküli alapjövedelem relevanciája és kérdőjelei." [The relevance of and ques- tionmarks around unconditional basic income.] Eszmélet 102. 109-130. Accessed April 23, 2016. http://real.mtak.hu/14131/2/AA_FNA_Eszmelet_2014_102.pdf

Bauman, Zygmunt(2010) Living on Borrowed Time: Conversationswith Citali Rovirosa-Madrazo. Cambridge: Polity Press.

Budgeon, Shelley (2015) "Individualized femininity and feminist politics of choice." European Journal of Women's Studies 22(3): 303-318.

Campbell, Beatrix (2015) After neoliberalism: the need for a gender revolution. In Hall, Stuart, Doreen Massey and Michael Rustin (eds.) After Neoliberalism: The Kilburn Manifesto. London: Lawrence &

Wishart. 69-84. CBOS (2015) Co róż ni zwolenników lewicy, centrum i prawicy? [What differentiates the supporters of the left, center and right?], research report No 139.

Einhorn, Barbara (2005) "Citizenship in an Enlarging Europe: Contested strategies." Czech Sociological Review 41(6): 1023-1039.

Elgarte, Julieta (2008) "Basic Income and the Gender Division of Labour." Basic Income Studies 3(3).

Elomäki, Anna (2015)"The economic case for gender equality in the European Union: Selling gender equality to decision makers and neoliberalism to women's organizations." European Journal of Women's Studies 22(3): 288-302.

Erbel, Joanna (2008) "Charting the Transformation in Poland's Feminist Movement." Economic and Political Weekly. 43(51), December 20.

Finch, Janet, and Groves Dulcie (eds. 1983) A labour oflove: Women,work and caring. London: Routledge and Kegan Paul.

Finnegan, Anjelica, Dee Goddard, Anna Gromada and Maciej Soboci ski (2016) "What impact have post-crisis public policies had on gender equality in EU member states? Case studies of Poland, Spain, Sweden and the United Kingdom." FEPS YAN study, 1 March. Accessed April 21, 2016. http://www.feps-europe.eu/assets/385ea1ad-9215-488d-b9c4-97aebd417d26/wg-gender-and-austerity-feps formatcompressed-1pdf.pdf

Fodor, Éva, and Nagy Beáta (2014)"An Ebbing Tide Lowers all Boats." How the Great Recession of 2008 has Affected Men and Women in Central and Eastern Europe." In Eydoux, Anne, Antoine Math, and Hélène Périvier (eds.)

European Labour Markets in Times of Crisis. A Gender Perspective. OFCE. 121-151. Accessed January 15, 2016. http://www.cairn.info/revue-de-l-ofce-2014-2-page-121.htm.

Fodor, Éva, and Horn Dániel (2015) "Economic development" and gender equality: explaining variations in the gender poverty gap after socialism. Discussion Papers 2015/19. Budapest: Hungarian Academy of Sciences, Institute of Eco-nomics, Centre for Economic and Regional Studies. Accessed February 20, 2016. http://www.cairn.info/revue-de-l-ofce-2014-2-page-121.htm.

Fraser, Nancy (1995)"From Redistribution to Recognition? Dilemmas of Justice in a 'Postsocialist' Age." New Left Re-view I/212. 68-93.

Fraser, Nancy (2003) “Social Justice in the Age of Identity Politics: Redistribution, Recognition and Participation.” In Fraser, Nancy and Axel Honneth (eds.) Redistribution or recognition? A political-philosophical exchange. London: Verso.

Fraser, Nancy (2013)“How feminism became capitalism’s handmaiden – and how to reclaim it.” The Guardian (online edition), October 14. Accessed January 16, 2016. http://www.theguardian.com/commentisfree/2013/oct/14/feminism-capitalist-handmaiden-neoliberal.

Funk, Nanette (2014) “A very tangled knot: Official state socialist women’s organizations, women’s agency and feminism in Eastern European state socialism.” European Journal of Women’s Studies 21(4): 344-360.

Funk, Nanette (2015)“(K)not so: A response to Kristen Ghodsee.” European Journal of Women’s Studies 22(3): 350–355.

Ghodsee, Kristen (2004)“Feminism-by-Design. Emerging Capitalism, Cultural Feminism, and Women’s Nongovernmental Organizations In Post Socialist Eastern Europe.” Signs: Journal of Women in Culture and Society 29(3): 727-753.

Ghodsee, Kristen (2015) “Untangling the knot: A response to Nanette Funk.” European Journal of. Women’s Studies 22: 248-252.

Ignatieff, Michael (2015) “Is liberty divisible? The Challenge of Illiberal Democracy and Capitalist Authoritarianism.” Lecture given at CEY, March 16. Accessed February 20, 2016. http://www.ceu.edu/article/2015-03-18/illiberal-democracies-are-our-adversary-not-our-enemy-ignatieff-says

Kabeer, Naila (2012)“Rethinking Ideas of Work from a Feminist Perspective.” Lecture given at the 2012 AWID Forum, Accessed February 19, 2016. http://www.forum.awid.org/forum12/2013/02/rethinking-ideas-of-work-from-a-feminist-perspective/.

Kantola, Johanna, and Judith Squires (2012)“From state feminism to marketfeminism?”International Political Science Review 33(4): 382-400.

Kováts, Eszter (2015) “Preface”. In Kováts, Eszter (ed.) Love and Politics. Friedrich-Ebert-Stiftung, Budapest. 5-14. Accessed April 21, 2016. http://www.fesbp.hu/common/pdf/love_and_politics_EN.pdf

Krémer, Balázs (2014) “Idiosyncrasies of recent growing inequalities in Hungarian income distribution.” Metszetek 4(4): 118-154. Accessed January 20, 2016. http://metszetek.unideb.hu/files/201404_08_kremer_balazs.pdf

Mohanty, Chandra Talpade (2013) “Transnational Feminist Crossings: On Neoliberalism and Radical Critique.” Signs 38(4): 967-991.

Moyn, Samuel (2014) “A Powerless Companion: Human Rights in the Age of Neoliberalism.” Law and Contemporary Problems 77(4): 147-69.

Ost, David (2007) Defeat of Solidarity: Anger and Politics in Postcommunist Europe. Cornell University Press. Pateman, Carol (1988) “The Patriarchal Welfare State.” In Gutmann, Amy (ed.) Democracy and the Welfare State. Princeton: Princeton University Press. 134-151.

Rottenberg, Catherine (2013) “The Rise of Neoliberal Feminism.” Cultural Studies 28(3): 418-437.

Smith, Anne Marie (2008) “Neoliberalism, welfare policy, and feminist theories of social justice.” Feminist Theory 9(2): 131-144.

Szikra, Dorottya (2013) Austerity Policies and Gender Impacts In Hungary. (working paper) Budapest: Friedrich Ebert Stiftung. Accessed April 23, 2016. http://www.fesbp.hu/common/pdf/austerity_gender_hungary_2013.pdf

Thorsen, Dag Einar (2009) The Neoliberal Challenge. What is Neoliberalism? Oslo: University of Oslo, Department of Political Science. (working paper) Accessed January 15, 2016. http://folk.uio.no/daget/neoliberalism2.pdf.

Walby, Sylvia (2011) The Future of Feminism. Cambridge, Malden: Polity Press.

Wallerstein, Immanuel (2004) World-Systems Analysis. An Introduction. Durham: Duke University Press.

Waylen, Georgina (1998) “Gender, Feminism and the State. An overview.” In Randall, Wicky and Georgina Waylen (eds.) Gender, Politics and the State. London – New York: Routledge. 1-17.

Weldon, Laurel S. (2006)“Inclusion, Solidarity, and Social Movements: The Global Movement against Gender Violence.”